



**განათლების
საჩინოს განვითარების
ეროვნული ცენტრი**

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სკოლამდელი განათლება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 6 ივნისი, 2023 წელი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი: 20 ივნისი, 2023 წელი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	9
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	9
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	19
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	29
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა.....	35
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	45

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მილან პოლი, მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ხათუნა დოლიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქეთევან თოდაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ჯავახიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	სკოლამდელი განათლება
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Preschool Education
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სკოლამდელი განათლების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება 0112
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

²თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მითითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

³(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

ახალშემოთავაზებული პროგრამა არის პასუხი გარე მოვლენებზე, კერძოდ, „აღმზრდელ-პედაგოგის“ პროფესიულ სტანდარტზე (მთავრობის დადგენილება №478), რომლის მიხედვითაც, აღმზრდელ-მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხის განათლება სკოლამდელი აღზრდის დარგში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (აწსუ) მოამზადა პროგრამის პროექტი, რომელიც ეფუძნება მსგავსი პროგრამების ცოდნას საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. აღნიშნული ოთხწლიანი პროგრამა (240 კრედიტი) შედგება რამდენიმე ძირითადი ბლოკისგან: სავალდებულო თავისუფალი კომპონენტის კურსები (40 კრედიტი), ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი სავალდებულო კურსები (100 კრედიტი), დარგობრივი მახასიათებლებით დადგენილი პრაქტიკა (40 კრედიტი), ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი არჩევითი კურსები (60 კრედიტი). პროგრამა უზრუნველყოფილია როგორც პერსონალით, ისე მის განსახორციელებლად საჭირო სხვა რესურსებით. აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში, პროგრამის დაწყება 2023 წლისთვისაა დაგეგმილი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი 2023 წლის 6 ივნისს განხორციელდა. ადგილზე ვიზიტამდე, აკრედიტაციის ჯგუფსა და ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს შორის პროგრამის თაობაზე და ასევე, ერთობლივი მუშაობის პროცესის შესახებ, რამდენჯერმე შედგა კომუნიკაცია. საკოორდინაციო შეხვედრა სწორედ ადგილზე ვიზიტის წინა დღეს მოეწყო. ადგილზე ვიზიტის დროს, ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა ჩაეტარებინა გასაუბრებები რექტორთან და მის გუნდთან, ჯგუფთან, რომელმაც მოამზადა თვითშეფასების ანგარიში (SER), პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებულებთან და ხარისხის უზრუნველყოფის (QA) წარმომადგენლებთან. ასევე, ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა ენახა პროგრამის განსახორციელებლად მომზადებული შენობა. ამ ყველაფერმა, მათ პროგრამის შეფასების საშუალება მისცა. ექსპერტთა ჯგუფმა ისარგებლა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლების მიერ გაწეული ძალიან ეფექტური მხარდაჭერით; ჯგუფის თავმჯდომარემ ისარგებლა მთარგმნელის მაღალი ხარისხის მომსახურებით.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

2-5 სტანდარტების მიხედვით პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; პირველ სტანდარტში - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები

- დარწმუნდით, რომ პროგრამა ნათლად ასახავს სკოლამდელი განათლების საერთაშორისო გამოცდილებას და შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებსა და პერსონალს, ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა შესაძლებლობებით (მობილობის ჩათვლით და ა.შ.), მიიღონ შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილება.

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- დარწმუნდით, რომ ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე ინტენსიურად თანამშრომლობს პროგრამის გასაუმჯობესებლად და შემდგომში იმუშავებს პროგრამის სწავლის შედეგებზე.
- დარწმუნდით, რომ კურსდამთავრებულები ჩართულები იქნებიან პროგრამისა და მისი სწავლის შედეგების შესახებ მონაცემების მიწოდებაში.
- დარწმუნდით, რომ მკაფიოდ არის განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები და მუშაობს სწავლის ყველა შედეგთან შესაბამისად.
- დარწმუნდით, რომ ძირითადი დაინტერესებული მხარეები საკმარისად კარგად იცნობენ, თუ რა გზით ფასდება სწავლის შედეგები.
- დარწმუნდით, რომ პროგრამის შინაარსი ეფექტიანად ითვალისწინებს კურსდამთავრებულების საჭიროებებს, იმისთვის რომ, როგორც პროფესიონალებმა, წარმატებით იმუშაონ მრავალენოვან საგანმანათლებლო გარემოში, იყვნენ საკმარისად კომპეტენტურები და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ სამოქმედო კვლევა.
- შეიცვალოს „ბავშვის განვითარების“ კურსზე დაშვების წინაპირობა - "ზოგადი ფსიქოლოგია", რომელიც არ არის პროგრამის სავალდებულო არჩევითი კურსი.
- დარწმუნდით, რომ შემოთავაზებული პროგრამის ყველა სილაბუსი განამტკიცებს კავშირს მიმდინარე კვლევებთან და სკოლამდელი განათლების საუკეთესო პრაქტიკასთან, ისინი ყველა შემთხვევაში, მკაფიოდ არიან ორიენტირებულები კურსების გარშემო და მათი შეფასების მეთოდები ნათელი და ადეკვატურია. სილაბუსებში „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“, „ინკლუზიური განათლება“, „ოჯახისა და საზოგადოების თანამშრომლობა, პოზიტიური აღზრდა“ შეიტანეთ საჭირო ცვლილებები და შესაბამისად გადახედეთ დანარჩენ სილაბუსებს.
- დარწმუნდით, რომ პრაქტიკის კომპონენტი სტუდენტების ჩართულობისა და მონაწილეობის გაზრდის ეფექტიანი საშუალებაა.
- დარწმუნდით, რომ ყველა სილაბუსში ნათლად არის მითითებული სავალდებულო და რეკომენდებული ლიტერატურის ჩამონათვალი (და სხვა სასწავლო რესურსები) და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი მოცულობის გათვალისწინებით არის რეალისტური და ხელმისაწვდომი ყველა სტუდენტისთვის.
- გირჩევთ, რომ აპელაციის პირველი ინსტანცია იყოს ის მასწავლებელი, რომლის შეფასებაც გასაჩივრებელია და თავად მასწავლებლებს მიეცეთ აპელაციის მეშვეობით ქულების შეცვლის შესაძლებლობა.
- შეიმუშავეთ ყოვლისმომცველი გეგმა, რომელიც ორიენტირებული იქნება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კომპეტენციის გაზრდაზე, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ადრეულ განათლებაზე. ეს გეგმა უნდა მოიცავდეს გარკვეულ სტრატეგიებს, მათ შორის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შეთავაზებას, ვორქშოფების ორგანიზებასა და ტრენინგების ჩატარებას.
- პროგრამის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია საქმისადმი ენთუზიაზმით აღსავსე პერსონალის დასაქმება, რომელიც სპეციალიზებულია მხოლოდ ადრეულ განათლებაში. გარდა ამისა, სარგებლის მომტანი იქნება იმ დოქტორანტებისა და

ახალგაზრდა პროფესიონალების მოწვევა, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან ამ სფეროს და შეუძლიათ წვლილი შეიტანონ მის სრულყოფაში.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- განიხილეთ შესაძლებლობები, რომ მკაფიოდ ჩამოაყალიბოთ თანაფარდობა უშუალოდ სწავლებასა და სტუდენტების დამოუკიდებელ მუშაობას შორის.
- განიხილეთ შესაძლებლობები, რომ მკაფიოდ ჩამოაყალიბოთ თანაფარდობა სტუდენტების ინდივიდუალურ სამუშაოსა და მათ შესაძლებლობებთან, ითანამშრომლონ სხვა სტუდენტებთან.
- უნივერსიტეტმა მენტორებად საბავშვო ბაღებში უნდა შეარჩიოს კვალიფიციური კადრები. ასეთი ადამიანების დეფიციტის შემთხვევაში, ჩვენ ვთავაზობთ პოტენციური მენტორებისთვის ტრენინგების ან ვორქშოპების ორგანიზებას. ასევე, პრაქტიკის ადგილებზე ძირითადი პერსონალის გადამზადებას.
- პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი საკმაოდ დიდია, მაგრამ მისი უდიდესი ნაწილი ე.წ პასიური პრაქტიკა, დაკვირვება და რეფლექსიაა. სტუდენტებისთვის უფრო მომგებიანი იქნება, თუ მეტ პრაქტიკას გაივლის რეალურ აქტივობებში მონაწილეობის საშუალებით.
- შეფასების სისტემა გახადეთ ცოტა უფრო მოქნილი. მასწავლებლებს მიეცით მეტი დამოუკიდებლობა მათი კურსების შეფასების მეთოდების არჩევისას.
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უფრო ეფექტიანად უნდა აცნობოს სტუდენტებს მათთვის ხელმისაწვდომი სერვისებისა და შესაძლებლობების შესახებ, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება, აკადემიურ პერსონალთან საკონსულტაციო საათებისა და სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵**

არ არის მითითებული

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გვაცნობა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი განათლება“ (ბაკალავრიატი) არგუმენტირებულ პოზიციას აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე წარმოადგენს. ამ წერილის შესაბამისად დასკვნას ცვლილებების გარეშე წარმოგიდგენთ.

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო	პროგრამის	სტანდარტის	კომპონენტის	მოთხოვნებთან
-----------------	-----------	------------	-------------	--------------

გეგმაში ფორმულირებული პროგრამის მიზნები ნათელი, რეალისტური და მიღწევადია. შეესაბამება სკოლამდელი განათლების სფეროს და, იმავდროულად, სასწავლო პროგრამის საბაკალავრო საფეხურს. უფრო კონკრეტულად, პროგრამა მიზნად ისახავს „მოამზადოს სკოლამდელი განათლების კონკურენტუნარიანი სპეციალისტი საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციით, რომელმაც უნდა იცოდეს პროფესიის სპეციფიკა და დაევალება იყოს ქმედითი; იყოს სამოქალაქო ცნობიერებისა და პრინციპების მატარებელი; იყოს უწყვეტ პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებული; იზრუნოს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე; გამოიყენოს ბავშვზე ორიენტირებული მიდგომები, სწავლების თეორიები, მეთოდები და შეძლოს შესაბამისი და სწორი გადაწყვეტილებების მიღება მისი კომპეტენციის ფარგლებში, რაც გამოიწვევს რეგიონში სკოლამდელი განათლების სპეციალისტების დეფიციტის აღმოფხვრას.“ (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 7)

პროგრამის გეგმა, როგორც პროგრამის პროექტშია ფორმულირებული, კონკრეტულად ასახავს, თუ რა ცოდნა, უნარ-ჩვევები და კომპეტენციები უნდა შეიძინოს კურსდამთავრებულმა. ეს ცოდნა, უნარები და კომპეტენციები კონკრეტულად არის აღწერილი და შეიძლება ერთობლიობაში განიხილებოდეს, როგორც სათანადო თვისებების შედარებით კომპლექსური ნაკრები, რომელიც მნიშვნელოვანია სკოლამდელი განათლების კონტექსტში. შესაბამისად, პროგრამას აქვს პოტენციალი, წვლილი შეიტანოს სკოლამდელი განათლებისა და, ზოგადად, საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამის მიზნები შეთანხმებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან, რომელშიც მითითებულია ამბიციური უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი

საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას და პროფესიონალთა და ლიდერთა განათლებას.

ასევე, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის გეგმა (და მისი მიზნები) ასახავს შრომის ბაზრის საჭიროებებს, ძირითადად რეგიონსა და მის საჭიროებებს.

პროგრამის გეგმაში ნათქვამია, რომ შთაგონება მოდის სამი მსგავსი პროგრამიდან (რომელთაგან ორი ავსტრალიიდანაა, ერთი კი ფილიპინებიდან), თუმცა, გამოტოვებულია უფრო დეტალური ინფორმაცია, ის, თუ კონკრეტულად რა არის საინტერესო და შთამაგონებელი ამ პროგრამებში, თუ რატომ და როგორ იქნა ეს ყველაფერი დაგეგმილი პროექტის ფარგლებში. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ შემოთავაზებული პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხს მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს.

ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებულმა გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ პროგრამის მიზნებს იზიარებენ ის ადამიანები, რომელთა ჩართულობაც ამ პროგრამაში გეგმით არის გათვალისწინებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსი;

რეკომენდაციები:

- დარწმუნდით, რომ პროგრამა ნათლად ასახავს სკოლამდელი განათლების საერთაშორისო გამოცდილებას და შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებსა და პერსონალს, ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა საშუალებებით (მობილობის ჩათვლით და ა.შ.), მიიღონ შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი სტრუქტურაში „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარები“ და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“. თითოეული ეს ბლოკი მოგვიანებით დეტალურად არის გაწერილი და მოიცავს ძირითად მახასიათებლებს/შედეგებს, რომლებსაც სტუდენტი პროგრამის დასრულებისთვის ფლობს. კონკრეტულად, „ცოდნა და გაცნობიერება“ განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას სკოლამდელი განათლების მახასიათებლებზე, ბავშვის განვითარებაზე, ბავშვთან მუშაობის მეთოდებზე, მართვის სტრატეგიებზე და კოლეგებთან და მშობლებთან და სხვა სპეციალისტებთან/საზოგადოებასთან თანამშრომლობის სტრატეგიებზე. ბლოკი „უნარები“ შემდგომში ავითარებს ზემოხსენებულ ცოდნას და გაცნობიერებას გამოყენების პრაქტიკულ დონეზე საჭირო უნარების რეალიზების გზით. ბლოკი სახელწოდებით „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ ხაზს უსვამს კურსდამთავრებულის იმ თვისებებს, რომლებიც ეხება საზოგადოებას, საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებას, უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვასა და განხორციელებას, ეთიკურ ქცევას, თანასწორობასა და სოციალურ სამართლიანობაზე დაფუძნებული ინკლუზიური საგანმანათლებლო პრაქტიკის შექმნას. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს არა მხოლოდ სამი ბლოკის დონეზე (ცოდნა და გაცნობიერება-უნარები-ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა), არამედ ლოგიკურადაა დაკავშირებული ცალკეულ ბლოკში. პროგრამის სწავლის შედეგები შეიძლება ჩაითვალოს საგულდაგულოდ დამუშავებულად, რადგან აქვს პოტენციალი, ხელი შეუწყოს პროგრამის განხორციელებას. სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს იმ ძირითად თვისებებს, რომლებიც სტუდენტმა/კურსდამთავრებულმა უნდა შეიძინოს.

შემოთავაზებული პროგრამის სწავლის შედეგები, როგორც ჩანს, მიღწევადი, რეალისტური და იმავდროულად, გარკვეული მოცულობით გაზომვადიცაა, შეიძლება ჩაითვალოს კვალიფიკაციის არჩეული საფეხურისა (ბაკალავრის ხარისხი) და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად.

სწავლის შედეგები ეფუძნება დარგობრივი მახასიათებლების მექვესე დონის აღმწერს, რომელიც დაფუძნებულია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სწავლის სფეროს კლასიფიკატორზე. ასევე, შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებს და თუკი შესაძლებელი იქნება, კურსდამთავრებულებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა სწავლა განაგრძონ განათლების შემდეგ საფეხურზე. ასევე, ნათელია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სასწავლო სფეროს სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ სწავლის შედეგები გარკვეულწილად შეიქმნა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლების გარკვეული ჩართულობითა და თანამშრომლობით. როგორც ჩანს, სწავლის შედეგების თანამშრომლობის საფუძველზე განვითარებას აქვს გაუმჯობესების პოტენციალი (ძირითადი დაინტერესებული მხარეების უფრო ინტენსიური თანამშრომლობის მიმართულებით).

ანალოგიურად, დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებმა აჩვენეს შემოთავაზებული პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ ინფორმირებულობის განსხვავებული დონე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსი;

რეკომენდაციები:

- დარწმუნდით, რომ ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე ინტენსიურად თანამშრომლობს პროგრამის სრულყოფის მიზნით და შემდგომში იმუშავებს პროგრამის სწავლის შედეგებზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. ეს მექანიზმი შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც სათანადო პერიოდულობით განხორციელებული თანმიმდევრული და გამჭვირვალე შეფასება. იგი მოიცავს პროგრამის შესაბამისი მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს, ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრებას (სწავლების დაკვირვება), სასწავლო პროცესით სტუდენტების კმაყოფილების ანალიზს, დამსაქმებელთა მოლოდინების გათვალისწინებას. ამ მიმართულებით განიხილება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენება. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, პროგრამის მომწოდებლები აპირებენ პროგრამის შემდგომ განვითარებას. ვინაიდან პროგრამა წარდგენილია აკრედიტაციისთვის (ახალი პროგრამა), ყველა შეფასება დაგეგმვის ეტაპზეა. მოსალოდნელია, რომ შეფასების აღნიშნული მექანიზმი უფრო დეტალურად იქნეს განსაზღვრული პროგრამის განხორციელების პროცესში (აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში), კერძოდ, სტუდენტის უკუკავშირთან მუშაობისა და გარკვეულწილად, შესაძლოა, პერსონალის შესრულებული სამუშაოს შეფასების გზებთან დაკავშირებით.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შეფასების მექანიზმი ასახავს სასწავლო სფეროს სპეციფიკასა და განათლების საფეხურს.

ასევე, დაგეგმილია დამსაქმებლების მონაცემების შეგროვება და შემდგომი დამუშავება; კურსდამთავრებულთა ჩართულობა არ იყო მითითებული.

სწავლის თითოეული შედეგის პროგრამის სამიზნე ნიშნულები, მათ შორის სწავლის შედეგების შეფასება, გარკვეულწილად მითითებულია.

ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებულმა გასაუბრებებმა აჩვენა, რომ პედაგოგიური პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა დაადასტურა, რომ იღებს გარკვეულ დახმარებას სწავლის შედეგებთან მუშაობისთვის საჭირო უნარების განვითარებაში.

ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების დროს გამოჩნდა, რომ დაინტერესებული მხარეები გარკვეულწილად იცნობენ სწავლის შედეგების შეფასებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსი;

რეკომენდაციები:

- დარწმუნდით, რომ კურსდამთავრებულები იქნებიან ჩართულები პროგრამისა და მისი სწავლის შედეგების შესახებ მონაცემების მიწოდებაში.
- დარწმუნდით, რომ სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები მკაფიოდ არის განსაზღვრული და მუშაობს სწავლის ყველა შედეგთან მიმართებით.
- დარწმუნდით, რომ ძირითადი დაინტერესებული მხარეები საკმარისად იცნობენ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო

პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შეიძლება დასტურდებოდეს, რომ შემოთავაზებული პროგრამა შემუშავებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. უფრო კონკრეტულად, პროგრამის შემუშავება განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის – საგანმანათლებლო გეგმა (EP) – ხარისხის უზრუნველყოფა (QA)-სთან მიმართებით, რომელიც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში რამდენიმე წელია მოქმედებს და მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვას, შედგენასა და განვითარებას.

თავისი არსით, შემოთავაზებული პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება სასწავლო ციკლს. ასევე, პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობისა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც პროგრამის ინდივიდუალიზმის უზრუნველყოფის საფუძველი; როგორც ჩანს, შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და გააჩნია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პოტენციალი.

პროგრამის სტრუქტურა თეორიულად მკაფიოდ და ლოგიკურადაა აგებული. საგნების/კურსებისა და სემესტრების დონეზე შესამჩნევია კურსების თანმიმდევრული განლაგება პროგრამის სასწავლო გეგმის ფარგლებში. სასწავლო გეგმის ცალკეულ კურსებს/ელემენტებსა და სწავლის ინდივიდუალურ შედეგებს შორის კავშირები ნათლად არის მითითებული სასწავლო გეგმის რუკაზე. პრაქტიკული კომპონენტები (ხუთი კურსი) მთელს პროგრამაზეა გადანაწილებული და ითვალისწინებს გარკვეულ თანმიმდევრობას დროსთან მიმართებით. ამავე დროს, არსებობს გაუმჯობესების პოტენციალი. ადრეული განათლების ბაკალავრიატის სამიზნე ნიშნულების მიხედვით, აუცილებელია, რომ სტუდენტებმა განავითარონ სამოქმედო კვლევის კონკრეტული კომპეტენციები და მრავალენოვანი სწავლების მეთოდები ბავშვთა ადრეული განათლების პირობებში. შემოთავაზებული სასწავლო გეგმა იმსახურებს ამ საკითხების უფრო მკაფიოდ განხილვას.

ასევე, ბოლომდე არ არის ნათელი, თუ როგორ არის უზრუნველყოფილი ზომიერების დაცვა უშუალოდ სწავლებასა და სტუდენტების დამოუკიდებელ მუშაობას შორის. ასევე, არ არის

აღწერილი, ერთი მხრივ, სტუდენტის თანამშრომლობის შესაძლებლობები და მეორე მხრივ, ინდივიდუალური მუშაობა.

შემდეგ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ძირითადად ადეკვატურია. ჯერჯერობით, „ბავშვის განვითარების“ კურსის წინაპირობა არის „ზოგადი ფსიქოლოგია“, რომელიც არ არის პროგრამის სავალდებულო არჩევითი კურსი. ეს უნდა შეიცვალოს.

როგორც ჩანს, სწავლების მეთოდები ძირითადად ადეკვატურად არის დაგეგმილი, იგივე შეიძლება ითქვას შეფასების სისტემაზე.

პროგრამა ითვალისწინებს ამ სფეროში ახალი კვლევის შედეგებს. პროგრამის შინაარსი ასევე გარკვეულწილად ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს. აქაც შესაძლებელია სრულყოფა, იმის მსგავსად თუ რა იყო დაფიქსირებული მოცემული ანგარიშის 1.1 ნაწილში.

როგორც ჩანს, პროგრამის შემუშავება გარკვეულწილად თანამშრომლობითი პროცესია, რაც ხორციელდება მნიშვნელოვანი როლის მქონე ორგანიზაციის წევრებისა (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლების) და სხვა დაინტერესებული მხარეების გარკვეული ჩართულობით.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მისი ყველა პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. ეს შეეხება ამ პროგრამასაც აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსი;

რეკომენდაციები:

- დარწმუნდით, რომ პროგრამის შინაარსი ეფექტიანად ითვალისწინებს კურსდამთავრებულების საჭიროებებს, იმ მიზნით, რომ როგორც პროფესიონალებმა წარმატებით იმუშაონ მრავალენოვან საგანმანათლებლო გარემოში, იყვნენ საკმარისად კომპეტენტურები, რათა, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენონ სამოქმედო კვლევა.
- შეცვალეთ „ბავშვის განვითარების“ კურსზე დაშვების წინაპირობა - "ზოგადი ფსიქოლოგია", რომელიც არ არის პროგრამის სავალდებულო არჩევითი კურსი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- განიხილეთ შესაძლებლობები რათა მკაფიოდ ჩამოაყალიბოთ თანაფარდობა უშუალოდ სწავლებასა და სტუდენტების დამოუკიდებელ მუშაობას შორის.
- განიხილეთ შესაძლებლობები, რომ მკაფიოდ ჩამოაყალიბოთ თანაფარდობა სტუდენტების ინდივიდუალურ სამუშაოსა და მათ შესაძლებლობებთან, ითანამშრომლონ სხვა სტუდენტებთან.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მთლიანობაში, ინდივიდუალური კურსების/საგნების შინაარსი შეესაბამება მთლიანი პროგრამის სწავლის შედეგებს. გამოყოფილი კრედიტების (ECTS) რაოდენობა ცალკეულ კურსებზე, როგორც ჩანს, კარგად არის გააზრებული. გარდა სტაჟირებისა (პრაქტიკისა), სადაც გამოყოფილი აქვთ ხუთი კრედიტი და ივარაუდეს, რომ ეს სტუდენტების დატვირთვის ადეკვატურია. ასევე, ძირითადად იკვეთება ის, რომ როგორც პროგრამის გეგმაშია აღწერილი, ცალკეული კურსების/საგნების სწავლის შედეგები დადებით კავშირშია მთლიანი პროგრამის სწავლის შედეგებთან.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ სილაბუსში უნდა განმტკიცდეს შესაბამისობა ადრეულ განათლებასთან და მასთან დაკავშირებულ საკითხებთან. ეს მოიცავს სასწავლო ლიტერატურისა და ზოგიერთ შემთხვევაში, შეფასების მეთოდების კორექტირებას. მაგალითად, სილაბუსში „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“, სტუდენტის აქტიურობის შეფასების ერთ-ერთი მეთოდია როლური თამაში. თუმცა, გაუგებარია, როგორ უკავშირდება ეს შეფასების მეთოდი თემას. სილაბუსში „ინკლუზიური განათლება“, უნარ-ჩვევები, რომელთა განვითარებასაც

სტუდენტები მოელიან, დაკავშირებულია მხოლოდ აღზრდასთან და არა ინკლუზიურ განათლებასთან. „ოჯახისა და საზოგადოების თანამშრომლობა, პოზიტიური აღზრდა“ სილაბუსის მიზნებში საერთოდ არ არის ნახსენები ოჯახისა და საზოგადოების ჩართულობა და თანამშრომლობა. კურსში „ქოუჩინგი“ მოწოდებული ლიტერატურა უფრო მეტად უნდა შესაბამებოდეს თემას.

რაც შეეხება პრაქტიკულ კომპონენტს, ამან შესაძლოა სტუდენტებს მისცეს მეტი შესაძლებლობა ჩაერთონ და მიიღონ მონაწილეობა პრაქტიკაში, ვინაიდან ამჟამინდელ გეგმაში, მნიშვნელოვანი დრო იხარჯება ისეთ აქტივობებზე, როგორებიცაა დოკუმენტაციის გაცნობა და გარემოზე დაკვირვება.

სასწავლო მასალების კუთხით შეიძლება ითქვას, რომ ძირითადი რესურსები ადგილზეა. ჯერჯერობით, მასალების ნაწილი ქართულ ენაზეა, ნაწილი კი ინგლისურზე, რაც აჩენს კითხვებს მის პრაქტიკულ გამოყენებ შესახებ. ჯგუფი ითვალისწინებს ქართულ ენაზე გარკვეული სასწავლო რესურსების მოპოვებასთან დაკავშირებულ ობიექტურ სირთულეებს და აფასებს დაწესებულების ძალისხმევას მოამზადოს საკმარისი რაოდენობის სასწავლო მასალა ქართულ ენაზე სტუდენტების სწავლის ხელშეწყობის მიზნით.

ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში, სილაბუსებში მითითებულია სასწავლო ლიტერატურის დიდი რაოდენობა - სასარგებლო იქნება სტუდენტებისთვის ინფორმაციის უფრო ნათლად მიწოდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და გასაუბრების შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- დარწმუნდით, რომ შემოთავაზებული პროგრამის ყველა სილაბუსი აძლიერებს მიმდინარე კვლევებთან და სკოლამდელი განათლების საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობას, ნებისმიერ შემთხვევაში, ნათლად არის ორიენტირებული კურსების თემებზე და მათი შეფასების მეთოდები ნათელი და ადეკვატურია. სილაბუსებში „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“, ინკლუზიური განათლება“, „ოჯახისა და საზოგადოების თანამშრომლობა, პოზიტიური აღზრდა“ შეიტანეთ საჭირო ცვლილებები და შესაბამისად გადახედეთ სხვა სილაბუსებს.
- დარწმუნდით, რომ პრაქტიკის კომპონენტი სტუდენტების ჩართულობისა და მონაწილეობის ეფექტიანი შესაძლებლობაა.
- დარწმუნდით, რომ ყველა სილაბუსში ნათლად არის მითითებული სავალდებულო და რეკომენდებული ლიტერატურის ჩამონათვალი(და სხვა სასწავლო რესურსები) და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი მოცულობის გათვალისწინებით არის რეალისტური და ხელმისაწვდომი ყველა სტუდენტისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის

სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები დადგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სტუდენტის სტატუსის მინიჭებისთვის აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს საშუალო განათლების დამადასტურებელი ცნობა და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი საბუთი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დააწესა საგანმანათლებლო პროგრამების დაწყების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა.

უნივერსიტეტი აწარმოებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ონლაინ ვებგვერდზე www.atsu.edu.ge. კატალოგი აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას მიღების მოთხოვნების შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ახალია, ამჟამად ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, რაც განთავსდება კატალოგში და განათლების ფაკულტეტის ვებგვერდზე. ასევე, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (NAEC) აქვეყნებს პროგრამაზე დაშვების მოთხოვნებს თავის ყოველწლიურად განახლებად „აბიტურიენტის სახელმძღვანელოში“.

სწავლის პროცესი რეგულირდება რეგლამენტით, რომელიც ასევე ასახავს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის მოთხოვნებს როგორც საქართველოს, ასევე არაქართველი მოქალაქეებისთვის, ასევე სტუდენტთა მობილობის სახელმძღვანელო პრინციპებს. უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებმაც დაამთავრეს სრული ზოგადი განათლება ან მასთან გათანაბრებული განათლება უცხო ქვეყანაში, უფლება აქვთ მიიღონ სტუდენტის სტატუსი ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი ინსტრუქციის შესაბამისად. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები შეიძლება დაშვებულ იქნან პროგრამაზე უნივერსიტეტის სტუდენტთა მობილობის პოლიტიკისა და მობილობის წესების საფუძველზე, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

პოტენციური აპლიკანტების ინფორმირების მიზნით, დაწესებულება ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს საგანმანათლებლო რესურსცენტრებში, ასევე საჯარო და კერძო სკოლებში. ინფორმაციის გავრცელების მიზნით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველწლიურად აწყობს „ღია კარის დღეს“. ამ პერიოდის განმავლობაში, განათლების

ფაკულტეტის წარმომადგენლები ხვდებიან დაინტერესებულ პირებს და აწვდიან მათ აუცილებელ ინფორმაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სკოლამდელი განათლება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- EP-QA 1.1 საგანმანათლებლო პროგრამების დაწყების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა (დადგენილება #49 (17/18))
- სტუდენტთა მობილობის წესები და პროცედურები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი www.atsu.edu.ge
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო

პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტების კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარება გადამწყვეტია პროგრამის სასწავლო გეგმისთვის. პროგრამაში წარმოდგენილი რამდენიმე კურსი ამ უნარების გამომუშავებას უწყობს ხელს. კვლევითი შესაძლებლობების განვითარების მიზნით, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ხელშეწყობით, საგანმანათლებლო პროგრამის

სტუდენტები ჩაერთვებიან მათი ინტერესის სფეროს შესაბამისად შემუშავებულ კვლევით პროექტებში.

თითოეული სილაბუსი მოიცავს კვირაში 1-2 სალექციო საათს და 1-2 პრაქტიკულ სამუშაო საათს. აღნიშნული პრაქტიკული სამუშაო საათები სტუდენტებისგან მოითხოვს პროექტებისა და აქტივობების შესრულებას ჯგუფურად ან ინდივიდუალურად.

პრაქტიკის კომპონენტი ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას. პრაქტიკის კომპონენტი დაეხმარება სტუდენტებს პრაქტიკული უნარების გამომუშავებაში, რომლებიც დაკავშირებულია სკოლამდელი განათლების თეორიულ გაგებასთან. პრაქტიკული უნარების განვითარებასთან ერთად, პრაქტიკის კომპონენტი მოსწავლეს საშუალებას მისცემს გამოიკვლიოს სკოლამდელი აღზრდის განათლების წინაშე არსებული სირთულეები, ასევე დაგეგმოს და განახორციელოს შესაბამისი აქტივობები.

უნിവერსიტეტმა და ქუთაისის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებამ ხელი მოაწერეს მემორანდუმს და მზად არიან ითანამშრომლონ და სტუდენტებისთვის უზრუნველყონ კვლევითი პროექტები და პრაქტიკული აქტივობები. გასაუბრებებით დასტურდება, რომ დაინტერესებული მხარეები აქტიურად არიან ჩართულები მომავალი პრაქტიკული აქტივობების განხილვაში. მოსწავლეთა პრაქტიკის დაგეგმვაში აქტიურად მონაწილეობდა ქუთაისის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება. მათ მცირედით შეცვალეს შემოთავაზებული თემები პრაქტიკისთვის (მაგალითად, დაამატეს მშობლის ჩართულობის თემა), ასევე ჰქონდათ გარკვეული რჩევები პრაქტიკის სტრუქტურასთან დაკავშირებით (კერძოდ, მათ შესთავაზეს ბავშვების ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის პრაქტიკულ აქტივობებში ჩართვა). აღნიშნული დადასტურდა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების დროს. ფაკულტეტის თანამშრომლებმა გასაუბრებების დროს აღნიშნეს, რომ აღმზრდელთა პროფესიული განათლების პროგრამის ფარგლებში უკვე თანამშრომლობენ საბავშვო ბაღებთან, თუმცა ამ პროგრამისთვის საბავშვო ბაღებთან თანამშრომლობის გაფართოებასაც გეგმავენ. ამჟამად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს საველე პრაქტიკისთვის მთელი იმერეთის რეგიონში აქვთ არჩევანი, რადგან ქუთაისის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება დასავლეთ საქართველოს მთელ რეგიონს მოიცავს. იგი მოიცავს 40 საჯარო საბავშვო ბაღს, ასევე არის რამდენიმე კერძო საბავშვო ბაღი, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტების პრაქტიკისთვის. დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სტუდენტებს მიეცემათ

შესაძლებლობა, გაიარონ საველე პრაქტიკა თავიანთ რეგიონებში. მოსწავლეებს საბავშვო ბაღებში ეყოლებათ მენტორები. უნივერსიტეტი გეგმავს ამ მენტორების ანაზღაურებას და ასევე, საუნივერსიტეტო კონფერენციებში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფას.

თუმცა, რეალური გამოწვევა საბავშვო ბაღებში მზადყოფნის დონეა. ამჟამად მათ არ ჰყავთ მენტორები და არც ისეთი ადვილი იქნება მენტორის პოზიციებზე შესაბამისი რაოდენობის კვალიფიციური კადრის მოძიება. პირველ რიგში, უნდა შეთანხმდნენ კრიტერიუმებზე. საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება გთავაზობთ დახმარებას კრიტერიუმების განსაზღვრასა და სწორი ადამიანების არჩევაში. ასევე, აუცილებელია დირექტორებთან სათანადო კომუნიკაცია და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა. გასაუბრების დროს, ბაღის ერთ-ერთმა დირექტორმა აღნიშნა, რომ დაინტერესებულია უნივერსიტეტთან თანამშრომლობით და გეგმავს ამ უნივერსიტეტში გახდეს დოქტორანტი.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი საკმაოდ ფართოა. იგი შედგება შემდეგი კურსებისგან: „გაცნობითი პრაქტიკა – 1“, 5 კრედიტი, „გაცნობითი პრაქტიკა – 2“, 4 კრედიტი, „პროფესიული პრაქტიკა – 1“, 10 კრედიტი, „პროფესიული პრაქტიკა – 2“, 10 კრედიტი, და „პროფესიული პრაქტიკა – 1“, 10 კრედიტი. ამ სილაბუსების პრაქტიკული დავალებების უდიდესი ნაწილი მოიცავს დაკვირვებას, დაგეგმვასა და საბავშვო ბაღის სადღესასწაულო მომზადებაში მონაწილეობას.

კურსის "პროფესიული პრაქტიკა - 3" ფარგლებში, სტუდენტებმა რეალურად უნდა შეასრულონ აქტივობები, შეადგინონ დეტალური გეგმები და მოაგროვონ რესურსები თავიანთი აქტივობებისთვის მე-9 კვირიდან მე-16 კვირის განმავლობაში. შედეგად, ისინი მიიღებენ რეალურ გარემოში მუშაობის გამოცდილებას. შესაძლო გაუმჯობესების რეკომენდაცია მოცემულია ამ ანგარიშის 1.5 თავში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სკოლამდელი განათლება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი
- გასაუბრება პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულ ადამიანებთან
- გასაუბრებები დაინტერესებულ მხარეებთან.

რეკომენდაციები:

○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- უნივერსიტეტმა საბავშვო ბაღებში მენტორებად კვალიფიციური კადრები უნდა შეარჩიოს. ასეთი ადამიანების დეფიციტის შემთხვევაში, ჩვენ ვთავაზობთ პოტენციური მენტორებისთვის ტრენინგების ან ვორქშოპების ორგანიზებას და ასევე, პრაქტიკის ადგილებში ძირითადი პერსონალის გადამზადებას.
- პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი საკმაოდ დიდია, მაგრამ მისი უდიდესი ნაწილი ე.წ პასიური პრაქტიკა, დაკვირვება და რეფლექსიაა. სტუდენტებისთვის უფრო მომგებიანი იქნება, თუ ექნებათ მეტი პრაქტიკა რეალურ აქტივობებში მონაწილეობით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები;

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სილაბუსების უმრავლესობა მოიცავს სწავლების ინტერაქციულ მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტთა ჩართულობას.

სხვადასხვა სილაბუსი, როგორც წესი, არ იყენებს სწავლებისა და სწავლის ერთსა და იმავე ტექნიკას. სწავლების მეთოდების შერჩევასა გათვალისწინებულია კურსის სწავლის შედეგები და მასალა. ლექტორს აქვს აკადემიური თავისუფლება, აირჩიოს სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი მეთოდები და აქტივობები.

სილაბუსები აძლევს სტუდენტებს კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და ანალიტიკური უნარების განვითარების შესაძლებლობებს. სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ მიზნებს და ხელს უწყობს მოსწავლეებს კრიტიკულად იაზროვნონ და გააანალიზონ ინფორმაცია. თითოეული კურსი იყენებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებსა და აქტივობებს, მათ შორის პროექტებს, სიტუაციურ ამოცანებს/შემთხვევის ანალიზს, როლურ და სიმულაციურ თამაშებს, პრეზენტაციებს, ტვინის შტურმს, დისკუსიებს/დებატებს, თავსატეხებს, ჯგუფურ და ინდივიდუალურ მუშაობას, დაკვირვებას, პრაქტიკის ასახვას და სხვა აქტივობებს. ეს მეთოდები მოსწავლეებს უბიძგებს კითხვების დასმის, დისკუსიაში ჩართვისა და კოლეგებთან (თანატოლებთან) თანამშრომლობისკენ. ისინი მოითხოვენ, რომ მოსწავლეებმა გამოიყენონ თავიანთი ცოდნა, იფიქრონ კრიტიკულად ან გააანალიზონ ინფორმაცია, ვიდრე დაეყრდნონ მხოლოდ ფაქტების დამახსოვრებას. გასაუბრებების დროს მოსწავლეებმა გვითხრეს, რომ აკონტროლებენ საკუთარი სწავლის პროცესს და პასუხისმგებლობას გრძნობენ თავიანთ პროგრესზე. სტუდენტების უკუკავშირის თანახმად, პროექტები და ჯგუფური პრეზენტაციები ყველაზე ეფექტურია მათი აქტიური ჩართულობისა და უნარების განვითარებისთვის. აკადემიური პერსონალის გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ სტუდენტებს ენიჭებათ გადაწყვეტილებების მიღების ავტონომია. პროფესორებმა განაცხადეს, რომ ისინი მხარს უჭერენ და ხელს უწყობენ სტუდენტების მონაწილეობას, ავტონომიას და პასუხისმგებლობას სასწავლო პროცესში.

ზემოთ აღწერილი მეთოდები ძირითადად სტუდენტზეა ორიენტირებული და შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას, ავტონომიასა და პასუხისმგებლობას, რაც მიზნად ისახავს სხვადასხვა უნარების, მათ შორის კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სკოლამდელი განათლება, ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

- არ არის მიითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალება, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თითოეული სილაბუსი შეიცავს შეფასების სისტემის აღწერას და ფორმას, რომელიც იქნება გამოყენებული; სწავლების მეთოდები მკაფიოა და შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. მოსწავლეთა სწავლის შედეგები და მიღწევები ფასდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის No 3, 2016 წლის 18 აგვისტოს No102/ნ და 2021 წლის 29 დეკემბრის No105/ნ ბრძანებებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების შეფასების მეთოდების შერჩევა ეფუძნება სტუდენტის ცოდნისა და უნარების გაზომვის შესაძლებლობებს. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ორ სახის შეფასებას: მიმდინარე და საბოლოო, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შეფასების კომპონენტი მოიცავს შეფასების სხვადასხვა მეთოდს, მათ შორის ტესტებს, ესეებს, პრეზენტაციებს, დისკუსიებს და პრაქტიკული და თეორიული დავალებების შესრულებას.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შეფასების სისტემა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: შუალედური შეფასება შეადგენს შეფასების საერთო ქულის 60 ქულას (100 ქულა). შუალედური შეფასება მოიცავს სტუდენტის აქტივობას სემესტრის განმავლობაში (რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს შეფასების რამდენიმე კომპონენტს) - არაუმეტეს 30 ქულას, ხოლო შუალედური გამოცდა - არაუმეტეს 30 ქულას. დასკვნითი გამოცდა კი ფასდება 40 ქულით.

თითოეული პროფესორი ირჩევს ქულების განაწილებას კომპონენტების მიხედვით, სხვადასხვა აქტივობებისა და საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგრამ მხოლოდ ზემოაღნიშნულ ფარგლებში. მაშინაც კი, თუ პროფესორი გრძნობს, რომ მათ კურსს სხვა ტიპის შეფასება სჭირდება, შეფასების სისტემას ვერ შეცვლის. ერთ-ერთმა პროფესორმა გასაუბრებების დროს თქვა, რომ მათ სურდათ სტუდენტური პროექტების ჩართვა შეფასებაში, მაგრამ ვერ მოხერხდა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ შეფასების სისტემა უფრო მოქნილი და ინდივიდუალური კურსის საჭიროებებზე ადაპტირებული უნდა იყოს.

შეფასების სისტემა შედგება ხუთი სახის დადებითი შეფასებისაგან:

ა) (A) ფრიადი - 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა

ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასების ორი ტიპია;

ვ) (FX) სტუდენტმა ვერ ჩააბარა გამოცდა - მაქსიმუმ 41-50 ქულა - სტუდენტს აქვს გამოცდის ერთი ხელახალი გადაბარების უფლება;

ზ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასება 40 ქულა ან ნაკლები - სტუდენტმა ხელახლა უნდა გაიაროს კურსი.

ცოდნის შეფასებისთვის გამოიყენება გამჭვირვალე პროცედურები, კრიტერიუმები და ფორმები. ისინი წარედგინება სტუდენტებს საინფორმაციო სესიაზე და პირველ ლექციაზე. ამ პრეზენტაციის შემდეგ სტუდენტებს გადაეცემათ სილაბუსების როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ვერსიები, რომლებიც შეიცავს დეტალურ ინფორმაციას შეფასების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსებში დასწრება არ არის შეფასებული, აქტივობის შეფასება შეფასების კომპონენტია. ეს ელემენტი აფასებს, თუ რამდენად ჩართულნი არიან სტუდენტები ლექციაზე და რამდენად ხშირად მონაწილეობენ დისკუსიაში.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების გასაჩივრების პროცედურა. თუ სტუდენტი არ ეთანხმება სემესტრის დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, მას უფლება აქვს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის No9 (17/18) დადგენილებით მიმართოს რექტორის მოადგილესა და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს შედეგების ოფიციალური გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში და მოითხოვოს შედეგების გადახედვა. სააპელაციო კომისია განიხილავს სტუდენტის საჩივარს. სააპელაციო კომისიას აქვს უფლება დატოვოს ან შეცვალოს სტუდენტის შეფასება (მაგრამ არა უარესობისკენ). სტუდენტები აქტიურად იყენებენ გასაჩივრების შანსებს. თუმცა, სტუდენტების საჩივრების რაოდენობა საკმაოდ მრავალრიცხოვანია. მხოლოდ შარშან იყო 1000-ზე მეტი სტუდენტის საჩივარი. ეს რიცხვი ძალიან დიდია, რადგან ლექტორები უკვე მინიჭებულ ქულებს ვერ ცვლიან. სტუდენტს რომც დაეთანხმონ, რომ შეფასება უნდა შეიცვალოს, ამას თავად ვერ გააკეთებენ. თავად პროფესორებს რომ შეეძლოთ შეფასების შეცვლა, ფორმალური საჩივრების საერთო რაოდენობაც ნაკლები იქნებოდა და მთელი პროცედურაც ნაკლებად შრომატევადი .

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრება სტუდენტებთან
- სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამა
- აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის No9 (17/18) დადგენილება გამოცდების გასაჩივრების წესის შესახებ.

რეკომენდაციები:

- გირჩევთ, რომ აპელაციის პირველი ინსტანცია იყოს პროფესორი - თანამშრომელი, რომლის შეფასებაც გასაჩივრებულია და თავად პროფესორს ჰქონდეს შესაძლებლობა შეცვალოს ქულები გასაჩივრების გზით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- შეფასების სისტემა ცოტათი მოქნილი უნდა იყოს. მიეცით ლექტორებს მეტი დამოუკიდებლობა კურსების შეფასების მეთოდების არჩევისას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.4. სტუდენტების შეფასება:	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამასთან

